საქმე №4416218-21

6584460924746

დ რ ო ე ბ ი თ ი გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

ქმედების განხორციელების შესახებ

09.03.2021 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე დავით წერეთელი

განმცხადებელი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

მოთხოვნა - დროებითი განჩინების გამოცემა

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ დირექტორის განცხადება დროებითი განჩინების მიღების თაობაზე და გამოარკვია

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2021 წლის 02 მარტს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დროებითი განჩინების გამოცემის მოთხოვნით.

შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ საქართველოში 125 000 მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (შემდგომში „შშმ პირი“) რეგისტრირებული. ამ ჯგუფში შედიან როგორც ფიზიკური შეზღუდვის, ისე ინტელექტუალური, ფსიქოსოციალური და სენსორული ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები. ბევრი მათგანი, ქვეყანაში არსებული არაადაპტირებული გარემოს და მძიმე სოციალური ფონის გამო მრავალჯერადად ხდება ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლი. ამ თემის წევრებს შორის განსაკუთრებულად მძიმე ფორმის სირთულეებს ხვდებიან ისეთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთაც აღენიშნებათ კომუნიკაციის სირთულე და ქცევის მძიმე ფორმის დარღვევა. მაგალითად, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები და ზრდასრულები წარმოადგენენ სწორედ იმგვარი ქცევის დარღვევის მქონე პირებს, რომლებიც დღეს საზოგადოების განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ.

ვინაიდან შშმ პირებს და მათ ოჯახებს მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, მათთვის ჯანმრთელობის სერვისები სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. თუმცა, არც ამ პროგრამის და არც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „ჯანდაცვის სამინისტრო“) მიერ დამტკიცებულ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, არ აფინანსებს შშმ პირებისა და შშმ ბავშვების სტომატოლოგიურ მომსახურებას, მათ შორის მძიმე ტკივილის შემსუბუქების მიზნით. ვინაიდან ბევრი მათგანი ვერ ახერხებს მშობლისთვის (ზრდასრულების შემთხვევაში მხარდამჭერისთვის) კბილის დაზიანებისა და ტკივილის შესახებ დროულ შეტყობინებას, მათთან კბილების დაზიანების აღმოჩენა ხდება იმ ეტაპზე, როდესაც სახეზეა მძიმე, გაუსაძლისი ტკივილი და მკურნალობა დაგვიანებულია.

ვინაიდან შშმ პირთა ოჯახებს არ გააჩნიათ ზოგადი ანესთეზიის ე.წ. ნარკოზის გაკეთების ფინანსური რესურსი, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ისინი ხშირად ელიან რამდენიმე კბილის დაზიანებას, რათა თანხის დაზოგვის მიზნით, მოხდეს მათი ერთობლივი მკურნალობა, ან საერთოდ ვერ ახერხებენ ამ მკურნალობის ჩატარებას. შედეგად შშმ ბავშვები და შშმ პირები წლების განმავლობაში განიცდიან უმძიმესი ფორმის ტკივილს, რომელიც თავისი ინტენსიობით არაჰუმანურ და არასათანადო მოპყრობას უტოლდება. მშობლები ფინანსური დახმარების მიზნით, როგორც წესი მიმართავენ ჯანდაცვის სამინისტროს „რეფერალური მომსახურების პროგრამას“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ.“

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ქცევითი გამოწვევისა და/ან კომუნიკაციის სირთულის მქონე შშმ პირების შემთხვევაში დაკავშირებულია მომსახურების მისაწვდომობასთან. დღეს-დღეობით მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 3 სტომატოლოგიური კლინიკა უწევს მათ მომსახურებას, როდესაც სახეზეა ქცევითი გამოწვევა და/ან კომუნიკაციის სირთულე და შშმ პირს სტომატოლოგიური მანიპულაციის ჩასატარებლად ესაჭიროება ანესთეზიის გაკეთება. შესაბამისად, უკიდურესად შეზღუდულია არჩევანი ამ კლინიკებს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეეხება შშმ პირების ჯანმრთელობის უფლების დარღვევას, რომელიც იკვეთება მათთვის სტომატოლოგიურ სერვისზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის 02 მარტის განცხადებით განმცხადებელი მოითხოვს, მიღებულ იქნეს დროებითი განჩინება და დაევალოს საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის 2010 წლის დადგენილების ,,რეფერალური მომსახურების პროგრამა'' ფარგლებში შექმნას ისეთი მექანიზმი,

რომელიც გამონაკლისის გარეშე, დაუყოვნებლივ 30 დღიანი მოცდის ვადის გარეშე დააფინანსებს ყველა შემთხვევას, როდესაც სახეზეა ქცევითი გამოწვევების და/ან კომუნიკაციის სირთულის მქონე შშმ პირებისათვის ზოგადი ანესთეზიის ე.წ. ნარკოზით სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის საჭიროება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 04 მარტის განჩინებით სასარჩელო განცხადებაზე დადგენილი იქნა ხარვეზი.

2021 წლის 05 მარტს „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ დირექტორმა, განცხადებით კვლავ მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორციელების დავალება. კერძოდ, დროებითი განჩინებით დაევალოს საქართველოს მთავრობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომუნიკაციის სირთულეებისა და ქცევის დარღვევის მქონე შშმ პირებისათვის სტომატოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფის ახალი სერვისის/პროგრამის შექმნამდე უზრუნველყოს აუცილებელი სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსებით მოცდის ვადის გარეშე, სამედიცინო ჩვენების საფუძველზე (მათ შორის ზოგადი ანესთეზიის საშუალებით), რომელიც მათ მოუხსნის ტკივილს და უზრუნველყოფს ჯანდაცვის სერვისზე ხელმისაწვდომობას.

ძირითადი სარჩელის დავის საგანს წარმოადგენს ქმედების დავალდებულება, კერძოდ: სპეციალური მექანიზმის/პროგრამის/სერვისის/ შექმნა კომუნიკაციის სირთულისა და ქცევის დარღვევის მქონე შშმ პირებისთვის სტომატოლოგიური მომსახურების შეუფერხებელი მიღებისთვის.

სამართლებრი შეფასება:

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველას აძლევს გარანტირებულ უფლებას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

სასამართლო განმარტავს, რომ საკუთარი უფლების და თავისუფლების სასამართლოში დაცვის უფლებით დაცული სფერო, ასევე გულისხმობს პირის სადავო უფლების სწრაფ და ეფექტიანად რეალიზაციის სასამართლოს მიერ უზრუნველყოფას, კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, რათა სასამართლოს გზით უფლების დაცვა ქმედითად განხორციელდეს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება სწორედ ასეა შეფასებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, გადაწყვეტილებაში - „საქმე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ (განცხადების #40765/02, 2006 წლის 28 ნოემბერი, პუნქტი 44) განმარტა, რომ იმისათვის, რომ **მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას და არ უნდა სთავაზობდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების მხოლოდ უბრალო, ირიბ დაცვას (იხ. Merit, ხსენებული ზმოთ, §59 და Deweer c. Belgique, 27 février 1980, §29, série A no 35).**

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, **განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია, ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლების გამო.**

მითითებული ნორმის მე-2 ნაწილით, დროებით განჩინებას იღებს საქმის განმხილველი სასამართლო. ასეთ სასამართლოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო როდესაც დავა იხილება სააპელაციო ინსტანციაში – სააპელაციო სასამართლო.

სასამართლოს აღნიშნავს, რომ დროებითი განჩინება, ისევე როგორც ნებისმიერი სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, ემსახურება რეალური აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილებას. განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს უნდა შეექმნას რწმენა და ალბათობის მაღალი ხარისხით დასაბუთებული ვარაუდი, რომ დროებითი განჩინებით, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება.

ასევე დადგენილია, რომ შშმ პირებს და მათ ოჯახებს მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, მათთვის ჯანმრთელობის სერვისები სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით

ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. თუმცა, არც ამ პროგრამის და არც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „ჯანდაცვის სამინისტრო“) მიერ დამტკიცებულ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, **არ აფინანსებს შშმ პირებისა და შშმ ბავშვების სტომატოლოგიურ მომსახურებას, მათ შორის მძიმე ტკივილის შემსუბუქების მიზნით.** ვინაიდან შშმ პირთა ოჯახებს არ გააჩნიათ ზოგადი ანესთეზიის ე.წ. ნარკოზის გაკეთების ფინანსური რესურსი, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ისინი ხშირად ელიან რამდენიმე კბილის დაზიანებას, რათა თანხის დაზოგვის მიზნით, მოხდეს მათი ერთობლივი მკურნალობა, ან საერთოდ ვერ ახერხებენ ამ მკურნალობის ჩატარებას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის'' მე-11 მუხლით **გარანტირებულია ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება. ბავშვს აქვს უფლება, მისი ჯანმრთელობა უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული; სახელმწიფო ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებასა და დაცვას ახორციელებს ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და დაწესებულებების ხელმისაწვდომობის, აგრეთვე უვნებელი გარემოს უზრუნველყოფით.**

სასამართლო მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 25-ე მუხლზე, რომლის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, ისარგებლონ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. **მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.** კერძოდ, **მონაწილე სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფენ უფასო ან ხელმისაწვდომი სტანდარტების, ხარისხისა და დონის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებითა და პროგრამებით სხვათა თანაბრად**, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროსა და ზოგადად მოსახლეობაზე გათვლილი საზოგადოებრივი პროგრამების ჩათვლით; **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფენ უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის გამო აუცილებელი ჯანდაცვის სფეროს მომსახურებით,** მათ შორის ადრეული დიაგნოსტიკით, შესაბამის შემთხვევებში – კორექციითა და მომსახურებით, რომლის მიზანია შემდგომი შეზღუდულობის მინიუმამდე დაყვანა და პრევენცია, მათ შორის, ბავშვებსა და მოხუცებში.

ამრიგად, სასამართლო აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის, მასზე მორგებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია ზემოთ მითითებული სამართლებრივი აქტებით.

სასამართლო მიუთითებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5

მუხლის „ვ“ და „ფ[1]“ ქვეპუნქტებზე, რომლის მიხედვით, მთავრობა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში **სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურისა და სხვა სფეროებში ამტკიცებს სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. ქმნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო კომიტეტს, ამტკიცებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების კონვენციისა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის ხელშემწყობ ერთიან სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმას და ზედამხედველობს მის შესრულებას.**

ამრიგად, სასამართლო განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული, შესაბამისი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აქვს საქართველოს მთავრობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგება, შშმ პირების უფლების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს, რომელიც მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე იქნება ორიენტირებული.

ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ დროებითი განჩინების სამართლებრივი ბუნება, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დროებით მოწესრიგებას გულისხმობს და მისი მოქმედების ვადა ვერ იქნება განუსაზღვრელი, რამდენადაც იგი საბოლოოდ სასამართლოს გადაწყვეტილების ქმედითად აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება და შესაბამისად, მისი მოქმედების დროც სასამართლოში საქმის განხილვის დროს უკავშირდება, რაც სათანადო (შესაბამისი ქმედების განხორციელების მოთხოვნით) სარჩელის აღძვრით უნდა განხორციელდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებელს უნდა განესაზღვროს ვადა სარჩელის აღძვრისათვის, ხოლო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, გონივრული ვადა იქნება 10 დღე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, **ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განცხადების სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში განჩინების მიღებიდან 10**

დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

მითითებული კოდექსის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული.

ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება. გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

ამრიგად, სასამართლო, განცხადებაზე დართული მტკიცებულებების და საქმის გარემოებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მიღებული უნდა იქნეს დროებითი განჩინება, რომლითაც საქართველოს მთავრობას დაევალება ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გამონაკლისის გარეშე, დაუყოვნებლივ 30 დღიანი მოცდის ვადის გარეშე, დააფინანსებს ყველა შემთხვევას, როდესაც სახეზეა ქცევითი გამოწვევების და/ან კომუნიკაციის სირთულის მქონე შშმ პირებისათვის ზოგადი ანესთეზიის ე.წ. ნარკოზით სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის საჭიროება. ამასთან, განმცხადებელს განესაზღვრება ვადა შესაბამისი სარჩელის აღძვრისათვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, მე-13; 31-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე, 195-ე, 284-ე; 285-ე; 414-ე მუხლებით, და

დაადგინა:

1. სპეციალური მოსარჩელის - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ განცხადება, სარჩელის აღძვრამდე დროებითი განჩინების მიღების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. დაევალოს საქართველოს მთავრობას შექმნას ისეთი მექანიზმი (მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), რომელიც გამონაკლისის გარეშე, დაუყოვნებლივ, 30 დღიანი მოცდის ვადის გარეშე, დააფინანსებს ყველა შემთხვევას, როდესაც არსებობს ქცევითი გამოწვევების და/ან კომუნიკაციის სირთულის მქონე შშმ პირებისათვის ზოგადი ანესთეზიის ე.წ. ნარკოზით

სტომატოლოგიური მომსახურების გაწევის საჭიროება;

3. განმცხადებელს განესაზღვროს ვადა შესაბამისი სარჩელის აღძვრისათვის 10 დღე და განემარტოს, რომ სარჩელის აღნიშნულ ვადაში არ აღძვრის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას დროებითი განჩინების გაუქმების თაობაზე;

4. განჩინებაზე შეიძლება შეტანილი იქნეს კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: თბილისი გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა), კერძო საჩივარი შემოტანილ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) 12 (თორმეტი) დღის ვადაში განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან.

მოსამართლე დავით წერეთელი